ინფრომაცია

ქსანი ჰესის პროექტთან დაკავშირებით მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ასამბლეის შენიშვნებსა და მოსაზრებებზე რეაგირების თაობაზე

N	შენიშვნა	პასუხი
1	**ალტერნატივების არასაკმარისი განხილვა:**	
1.1	გზშ დოკუმენტში წარმოდგენილი ალტერნატივების შეფასება ზედაპირულია და არ იძლევა საფუძველს რეალური შედარებითი ანალიზისთვის. დოკუმენტში მითითებულია მხოლოდ ის, რომ „არაქმედების ალტერნატივა“ (პროექტის არშესრულება) არ შეესაბამება ქვეყნის ენერგეტიკულ პოლიტიკას, თუმცა არ არის წარმოდგენილი: • კონკრეტული რაოდენობრივი მონაცემები, რომლებიც აჩვენებს იმპორტირებული ელექტროენერგიის ფასს, მოცულობასა და სეზონურ დინამიკას; • სახელმწიფო ხარჯების ან ტარიფების შედარება იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა გააგრძელებს იმპორტს, ან შექმნის შიდა გენერაციის ახალ ობიექტებს სხვა ალტერნატიული წყაროებით; • არ არის წარმოდგენილი სრული ხარჯ-ეფექტიანობის ანალიზი, ანუ ეკონომიკური და ფინანსური სარგებლის შედარება ჰესის აშენების, არაშენების ან სხვა ტიპის ენერგოობიექტის შექმნის შემთხვევაში.	შპს „ენ-სი ჯგუფი 2022“ მტკვარის ჰესების კასკადის, მათ შორის ქსანი 1 და ქსანი 2 ჰესების პროექტების განხორციელებას გეგმავს საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, მემორანდუმის გაფორმებამდე საკითხის შეთანხმება ხდება შესაბამისი დარგის სამინისტროებთან და უწყებებთან. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყანაში განსაკუთრებით ბოლო წლებში აღინიშნება ელექტროენერგიის მოხმარების ინტენსიური ზრდა (ყოველწლიური ზრდა შეადგენს არანაკლებ 5-6%-ს) წყალმცირობის პერიოდში ქვეყანა დამოკიდებულია იმპორტირებულ ელექტროენერგიაზე. გარდა აღნიშნულისა, ენერგო დეფიციტის პერიოდში ქვეყნის ელექტრონერგიით უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ თბოსადგურები მუშაობს იმპორტირებულ ბუნებრივ აირზე, იმპორტზე დამოკიდებულება კიდევ უფრო მაღალია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტის შესაბამისად, ქვეყანაში განახლებადი ენერგიის წყაროების ათვისების ხარჯზე გათვალისწინებულია ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მიღწევა. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 208 მგვტ დადგმული სიმძლავრის მტკვარის ჰესების კასკადის პროექტის განხორციელება, რადგან მდ. მტკვარის ჰიდროლოგიური რეჟიმიდან გამომდინარე წლის ყველა სეზონზე შესაძლებელი

		იქნება მნიშვნელოვანი რაოდენობის ელექტროენერგიის გამომუშავება. რაც შეეხება იმპორტირებული ელექტროენერგიის ფასებთან და მოცულობებთან დაკავშირებულ საკითხებს ეს გზშ-ს საგანს არ წარმოადგენს, რადგან ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, სხვადასხვა ქვეყნიდან ელეტროენერგიის შესყიდვა ხდება სხვადასხვა ღირებულებით. მთავარია ქვეყანაში შეიქმნას განახლებად რესურსებზე მომუშავე ენერგეტიკული ობიექტები და ამის ხარჯზე ინას მიღწეული ენერგოდამოუკიდებლობა, რადგან გარდა ელექტროენერგიის ფასებისა, იმპორტზე დამოკიდებულება დაკავშირებულია ქვეყნის უსაფრთხოების მაღალ რისკებთან..... პროექტის განხორციელების შემთხვევაში ადგილი ექნება მნიშნელოვანი, რაოდენობის დროებითი და მუდმივი სამუშაო ადგილების შექმნას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების, ასევე ადგილობრივი და ცენტრალური საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით. როგორც ყველა მსგავსი პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ადგილი ექნება ფიზიკურ და ბიოლოგიურ გარემოზე ნეგატიურ ზემოქმედებას, მაგრამ გზშ-ს ანგარიშში მოცემული შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელების და მონიტორინგის პირობებში შესაძლებელი იქნება ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება.
1.2	კომპანიამ დამატებით უნდა წარმოადგინოს ალტერნატივების რეალური ანალიზი, მათ შორის: • იმპორტირებული ენერგიის საშუალო ღირებულება ბოლო 5 წლის განმავლობაში; • ქსანი ჰესების აშენების შემთხვევაში მოსალოდნელი ელექტროენერგიის თვითღირებულება; • ხარჯ-სარგებლის შედარება სხვა ენერგეტიკულ ალტერნატივებთან.	გზშ-ს ანგარიშში განხილულია პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ალტერნატიული ვარიანტის ანალიზი. რაც შეეხება იმპორტირებული ენერგიის საშუალო ღირებულებას ბოლო 5 წლის განმავლობაში და ჰესის აშენების შემთხვევაში ელექტროენერგიის თვით ღირებულებას კონკრეტული პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების საგანს არ წარმოადგენს, ეს საკითხები რეგულირდება საქმიანობის განმხორციელებელ

		კომპანიასა და სახელმწიფოს სორის გაფორმებული მემორანდუმის მიხედვით. რაც შეეხება ენერგიის სხვა ენერგეტიკულ ალტერნატივებთან შედარებას უნდა აღინიშნოს, რომ მზის და ქარის ენერგიაზე მომუშავე ელექტროსადგურების მიერ ენერგიის გამომუშავება არასტაბილურია და მხოლოდ ასეთი წყაროების გამოყენებით ქვეყნის ენერგოსისტემა ვერ იქნება მდგრადი.
2	**ელექტროენერგიის ტარიფების და სოციალური გავლენის შეფასების ნაკლებობა:**	
2.1	გზშ დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ჰესის აშენება „დაეხმარება ეკონომიკურ ზრდას“ და „შექმნის სამუშაო ადგილებს“, თუმცა არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომ აღნიშნული პროექტი რეალურად გამოიწვევს ენერგიის ტარიფების შემცირებას ან მოსახლეობის ეკონომიკურ ზრდას. შესაბამისად ვითხოვთ, რომ კომპანიამ უნდა წარმოადგინოს: • ეკონომიკური პროგნოზი: თუ რა გავლენას მოახდენს პროექტი ელექტროენერგიის საცალო ტარიფებზე. განმარტებულ იქნას, დაგეგმილია თუ არა ტარიფების შემცირება ან პირიქით - სახელმწიფო ვალდებულებების ზრდა (მაგალითად, თუ პროექტი დაფინანსდება სესხით ან გარანტიით); • წარმოადგინოს სოციალური ზემოქმედების შეფასება ადგილობრივ მოსახლეობაზე, მათ შორი სოფელი ქსნის ინფრასტრუქტურული ან ყოფითი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება რამდენად შესაძლებელია, მუნიციპალიტეტში მხოლოდ ქონების გადასახადის შესვლის გზით?	როგორც გზშ-ს ანგარიშშია მოცემული პროექტის ძირითადი დანიშნულებაა ქვეყნის ელექტროსისტემაში დამატებითი ელექტროენერგიის მოწოდება და ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევისათვის გარკვეული წვლილის შეტანა. საკითხი თუ რა გავლენას მოახდენს პროექტის განხორციელება ელექტროენერგიის საცალო ტარიფებზე, ამასთანავე დაგეგმილია თუ არა ტარიფების შემცირება ან ზრდა მიცემული კონკრეტული პროექტის გზშ-ს -პროცედურის განხილვის საგანს არ წარმოადგენს. ტარიფების პოლიტიკას წარმართავს სახელმწიფო და შესაბამისად ჰესის ექსპლუატაციაში გაშვებამდე შპს „ენ-სი ჯგუფი 2022“-სათვის ყველა კონკრეტული ჰესისათვის განისაზღვრება ელექტროენერგიის შესყიდვის კონკრეტული ტარიფი. როგორც გზშ-ს ანგარიშშია მოცემული ქსანი 2 ჰესის პროექტის განხორციელება, ადგილობრივი მიკროკლიმატის გაურესებასთან დაკავშირებული არ იქნება, პროექტის გავლენის ზონაში არ ექცევა ადგილობრივი მოსახლეობის კუთვნილი მიწის ნაკვეთები, საცხოვრებელი ან საზოგადოებრივი შენობები და ინფრასტრუქტურის ობიექტები. შესაბამისად მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუარესებას ადგილი არ ექნება. პროექტის განხორციელების შემთხვევაში, შპს „ენ-სი ჯგუფი 2022“ იღებს ვალდებულებას როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ფაზებზე განახორციელოს სოფლის მოსახლოებისათვის საინტერესო სოციალური პროექტიები.

		აღნიშნულთან დაკავშირებით ადგილობრივ მოსახლეობასთან გაფორმებული იქნება შესაბამისი მემორანდუმი.
3	**კორუფციული რისკები და ფინანსური გამჭვირვალეობის საკითხი:**	
3.1	პროექტის განმახორციელებელი კერძო კომპანი („ენ-სი ჯგუფი 2022“) არის ახლად დაფუძნებული, რომლის ფინანსური შესაძლებლობები, გამოცდილება და პარტნიორები არ არის სრულად გასაჯაროებული. მსგავსი პრაქტიკა ზრდის კორუფციული გარიგებების და არამიზნობრივი ვალდებულებების რისკს, რაც შესაძლოა სახელმწიფოსთვის ფინანსური ტვირთის გაზრდით დასრულდეს. ვითხოვთ, რომ კომპანიამ წარმოადგინოს: • პროექტის სრული ფინანსური მოდელი (ინვესტორი, დაფინანსების წყარო, სახელმწიფო გარანტიების მოცულობა); • განმარტოს მოითხოვს თუ არა პროექტი სახელმწიფოს თანადაფინანსებას ან საბიუჯეტო გარანტიას; • განმარტოს თუ რა ფინანსურ რისკებს იღებს სახელმწიფო აღნიშნული პროექტის განხორციელებისას.	სახელმწიფოს და შპს „ენ-სი ჯგუფი 2022“-ს შორის გაფორმებული მემორანდუმი წარმოადგენს საჯარო დოკუმენტს და გამოქვეყნებული იყო სკოპინგის ანგარიშის დანართის სახით. შესაბამისად ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. შპს „ენ-სი ჯგუფი 2022“ წარმოადგენს საქართველოში დაფუძნებული კომპანიას, რომლის როგორც დამფუძნებლები , ასევე მმართველი გუნდი საქართველოს მოქალაქეებია და უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან ან სახელმწიფოებთან არანაირი დამოკიდებულება არ გააჩნიათ. გარდა აღნიშნულისა, მემორანდუმის მიხედვით, შპს „ენ-სი ჯგუფი 2022“-ის მიმართ სახელმწიფოს არანაირი ფინანსური ვალდებულება არ გააჩნია. შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება ან რაიმე გარანტიების გაცემა გათვალისწინებული არ არის. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება მოხდება კომპანიის განკარგულებაში არსებული და მის მიერ სხვადასხვა წყაროებიდან მოზიდული ფინანსებით. შესაბამისად სახელმწიფოს პროექტთან დაკავშირებით, რაიმე ფინანსური ვალდებულება არ გააჩნია.
4	**ენერგეტიკული ალტერნატივების არასაკმარისი განხილვა:**	
4.1	გზშ დოკუმენტი არ იკვლევს შესაძლო ენერგეტიკულ ალტერნატიულ გადაწყვეტილებებს, მაგალითად : ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებას, განახლებადი წყაროების დივერსიფიკაციას (მზის, ქარის სადგურები). ვითხოვთ, რომ კომპანიამ წარმოადგინოს: • ანალიზი, რომელიც შეაფასებს განახლებადი ენერგიის სხვა ტიპების ალტერნატივებს;	როგორც ზემოთ აღინიშნა, ისეთი განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებით მიღებული ელექტროენეგია როგორიცაა მზის და ქარის ენერგია, არასტაბილურია და მოკიდებული გარემო ფაქტორებზე, კერძოდ: ქარის არსებობაზე და ამინდზე (უქარო ამინდში და ღამის საათებში ელექტროენეგიის გამომუშავებას ადგილი არ აქვს). შესაბამისად ამ მხრივ უპირატესობა ენიჭება ჰიდროელექტროსადგურებს როგორც საბაზო სადგურებს. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული

	• განმარტოს, თუ რატომ არ განიხილება ენერგოეფექტურობის ამაღლება როგორც ალტერნატივა ენერგოდამოუკიდებულების გასაძლიერებლად. მცხეთის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო საზოგადოების შეფასებით, წარმოდგენილი გზშ დოკუმენტი არ შეიცავს საკმარის ეკონომიკურ და სოციალურ არგუმენტებს, რომლებიც გაამართლებდა ქსანი ჰესის აშენებას, როგორც სახელმწიფოსთვის, ისე ადგილობრივი მოსახლეობისთვის. მიუხედავად ზოგადი ეკონომიკური არგუმენტებისა, დოკუმენტი არ გვაწვდის კონკრეტულ მტკიცებულებებს, რომ პროექტი რეალურად გაზრდის ენერგოდამოუკიდებლობას სამართლიანი და გამჭირვალე გზით და არ გამოიწვევს დამატებით ფინანსურ ვალდებულებებს სახელმწიფოსთვის. შესაბამისად, პროექტის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებამდე კომპანიამ უნდა წარმოადგინოს: • დამატებითი ფინანსურ-ეკონომიკური ანალიზი; • განიხილოს ალტერნატივები, მათ შორის ენერგოეფექტურობის პროგრამები და განახლებადი წყაროების განვითარება;	მცირე მდინარეებისაგან განსხვავებით, მდ. მტკვარი გამოირჩევა მაღალი ხარჯებით და მასზე არსებული ჰესები წლის ყველა სეზონზე გამოირჩევა ელეტროენერგიის შედარებით სტაბილური გამომუშავებით. გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან ქვეყნის ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისება მნიშვნელოვანია ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევის თვალსაზრისით. ვთვლით, რომ ზემოთ საკმარისად ითქვა ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენებასთან დაკავშირებით და როგორც მზის და ქარის, ასევე ჰიდრო ენერგიაზე მომუშავე სადგურების განვითარება უნდა მოხდეს გეგმაზომიერად, რაც საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს კომპეტენციას შეადგენს და არა კონკრეტული ჰესის პროექტის განმხორციელებელი კომპანიის. რაც შეეხება კონკრეტულად ქსანი 2 ჰესის პროექტს, რომლის განხორციელება იგეგმება მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. ქსანის მიმდებარე მონაკვეთზე, სკოპინგის ფაზაზე მოსახლეობასთან შეხვედრის დროს გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით, გარკვეულად შეიცვლა საპროექტო სქემა, კერძოდ: ჰესის სათავ ნაგებობამ გადაინაცვლა ქვედა დინებაში და შემცირდა კაშხლის სიმაღლე (საბოლოო სქემით შეადგენს 4.6 მ-ს), რამაც პრაქტიკულად გამორიცხა ის მცირე ზემოქმედების რისკები რომლების ახასიათებდა თავდაპირველ პროექტს. <u>აღნიშნულიდან გამომდინარე, შემცირდა ჰესის გეომეტრული დაწნევა დადგმული სიმძლავრე და გამომუშავებული ელეტროენერგიის რაოდენობა. შესაბამისად პროექტმა დაკარგა ენერგეტიკული და ეკონომიკური ეფექტურობა, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს პროექტის განხორციელების შესაძლებლობას და დიდი ალბათობით ქსანი 2 ჰესის პროექტი არ იქნება განხორციელებული.</u>